# ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

*„ვამტკიცებ“*
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
**თორნიკე შერმადინი**

*03 ნოემბერი 2021 წელი*

*N 43/36*

*ეგზ.: N 1*

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო**

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ძირითადი ნაწილი | **ტერმინები და შემოკლებები** | **2** |
| | **ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ** | **3** |
| | **მოსაზრება** | **5** |
| | **1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი** | **6** |
| | **2. მნიშვნელოვანი გარემოებები** | **18** |
| | **3. სხვა გარემოებები** | **20** |
| | **4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა** | **28** |
| დანართები | **ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები** | **31** |
| | **კონსოლიდირებული ერთეულები** | **81** |
| | **საკონტაქტო ინფორმაცია** | **81** |


## ტერმინები და შემოკლებები

**ეკონომიკის სამინისტრო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

**სამინისტროს აპარატი** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატი.

**ავიაციის სააგენტო** – სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

**აკრედიტაციის ცენტრი** – სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი.

**აღრიცხვის ინსტრუქცია** – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

**აწარმოე საქართველოში** – სსიპ – აწარმოე საქართველოში.

**ინოვაციების სააგენტო** – სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

**მეტროლოგიის სააგენტო** – სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.

**ნავთობისა და გაზის სააგენტო** – სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო.

**ოუფენ ნეტი** – ა(ა)იპ – „ოუფენ ნეტი“.

**ფინანსთა სამინისტრო** – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

**საზღვაო აკადემია** – სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

**საზღვაო სააგენტო** – სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

**სახმელეთო სააგენტო** – სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო.

**სსბასს** – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

**ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო** – სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

**ტურიზმის ადმინისტრაცია** – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

**ქონების ეროვნული სააგენტო** – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

**წიაღის სააგენტო** – სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო.

**ჰიდროგრაფიული სამსახური** – სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური.

## ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავარი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ვაჭრობისა და ინვესტიციების, წარმოების, მომსახურებისა და ტურიზმის ხელშეწყობა; სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა; მშენებლობის პოლიტიკის, ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და ხელშეწყობა; ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის, აკრედიტაციის, კაპიტალის ბაზრისა და ქვეყნის ბრენდის განვითარება; წიაღის მდგრადი მართვა; ენერგეტიკის დარგის განვითარება და უსაფრთხოება; სამინისტროს მართვაში არსებულ საწარმოებში აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება და სხვ.[1]

გარდა ზემოაღნიშნულისა, COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, 2020 წელს ეკონომიკის სამინისტრომ განახორციელა საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებები:[2]

- ტურიზმის ადმინისტრაციამ სავალდებულო კარანტინის ფარგლებში განახორციელა საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ასევე ჩარტერული ფრენების სუბსიდირება ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების მიზნით; აღნიშნულ აქტივობებზე ჯამურად გაწეულია 97,900,000 ლარის ოდენობით ხარჯი.
- ქონების ეროვნული სააგენტოს ასიგნებებიდან 33,800,000 ლარით დაფინანსდა სამედიცინო დაწესებულებათა აღჭურვა/რეაბილიტაციის ღონისძიებები, კერძოდ, სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ პროფილური შენობით უზრუნველყოფა.
- სამინისტროს აპარატის მიერ მოსახლეობის სოციალური დახმარების – კომუნალური გადასახადების სუბსიდირების მიზნით გაწეულია 210,000,000 ლარის ოდენობით ხარჯი.
- გაფართოვდა „აწარმოე საქართველოში“ ბიზნესის მხარდაჭერის არსებული სახელმწიფო პროგრამები. კერძოდ, საკრედიტო-საგარანტიო სქემა და მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა – მცირე გრანტები. შემუშავდა ბიზნესის ხელშეწყობის დამატებითი მექანიზმები ტურიზმის და სამშენებლო სექტორის მიმართულებებით. აგრეთვე, შემუშავდა და ამოქმედდა პროგრამა – „თანადაფინანსების მექანიზმი მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის მხარდაჭერისთვის“. აღნიშნულ აქტივობებზე ჯამურად გაწეულია 107,250,000 ლარის ოდენობით ხარჯი.

2020 წელს სამინისტროს სტრუქტურაში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

- სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უწყებას წარმოადგენდა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N76 დადგენილებით დაექვემდებარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

[1] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N70 დადგენილება „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.
[2] ინფორმაცია აღებულია 2020 წლის 12 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან.

- „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების[3] შესაბამისად, ქონების ეროვნულ სააგენტოს შეუერთდა სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.
- 2020 წლის 1 იანვრიდან სამინისტროს სტრუქტურაში პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში შესული ცვლილების[4] შესაბამისად, შეიქმნა სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო.

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს მმართველობაშია 16 საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) და ორი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ).

**ცხრილი N1.** ინფორმაცია სამინისტროს მიერ 2020 წელს როგორც საკუთარი, ასევე საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების შესახებ[5] (ლარი)

| დასახელება | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები | სულ | % |
|---|---|---|---|---|
| **ჯამური** | **636,743,641** | **117,185,577** | **753,929,218** | **100%** |
| შრომის ანაზღაურება | 14,128,577 | 18,082,914 | 32,211,491 | 4% |
| საქონელი და მომსახურება | 88,323,066 | 27,007,021 | 115,330,087 | 15% |
| სუბსიდიები | 335,715,766 | 4,194,896 | 339,910,662 | 45% |
| გრანტები | 2,216,320 | 13,684,124 | 15,900,444 | 2% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 281,567 | 229,528 | 511,095 | 0% |
| სხვა ხარჯები | 126,258,522 | 40,543,387 | 166,801,909 | 22% |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,816,051 | 13,443,707 | 16,259,758 | 2% |
| ფინანსური აქტივების ზრდა | 67,003,772 | - | 67,003,772 | 9% |

**ცხრილი N2.** ინფორმაცია ორგანიზაციების მიხედვით 2020 წელს გაწეული როგორც საკუთარი, ასევე საბიუჯეტო სახსრებიდან საკასო ხარჯების[6] შესახებ (ლარი)

| საბალანსო ერთეულის დასახელება | თანხა | % |
|---|---|---|
| **სულ** | **753,929,218** | 100% |
| სამინისტროს აპარატი | 367,659,618 | 48.77% |
| სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო | 124,983,442 | 16.58% |
| სსიპ - აწარმოე საქართველოში | 93,000,489 | 12.34% |
| სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | 84,553,918 | 11.22% |
| სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო | 22,681,275 | 3.01% |
| სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია | 13,758,378 | 1.82% |
| სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტო | 11,545,895 | 1.53% |
| სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო | 7,927,744 | 1.05% |
| სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო | 6,414,049 | 0.85% |
| ა(ა)იპ – „ოუფენ ნეტი | 6,083,295 | 0.81% |
| სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო | 4,282,062 | 0.57% |
| სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური | 3,097,828 | 0.41% |
| სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო | 1,926,360 | 0.25% |
| სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი | 1,825,254 | 0.24% |
| სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო | 1,377,249 | 0.18% |
| სსიპ - ანაკლიის ღრმაწლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო | 1,244,587 | 0.16% |
| სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო | 948,359 | 0.13% |
| სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო | 487,825 | 0.06% |
| ა(ა)იპ - ინვესტორთა საბჭოს სამდივნო | 131,591 | 0.02% |

[3] N5989-IIს, 29.05.2020.
[4] N5690-რს, 20.12.2019.
[5] ინფორმაცია წარმოდგენილია შიდაჯგუფური ოპერაციების გამოკლებით.
[6] ინფორმაცია წარმოდგენილია შიდაჯგუფური ოპერაციების გამოკლებით.

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა**

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობას**

**დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

## მოსაზრება

### უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების[7] (ერთად – ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს,[8] მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების[9] შესაბამისად.

[7] იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

[8] „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანების მუხლი N17 შენიშვნები 1-დან 21-ის ჩათვლით.

[9] „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

# 1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

## 1.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 149,669,085 ლარის ოდენობით, საიდანაც:

- **ავიაციის სააგენტოსა** და **სახმელეთო სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებებში აღრიცხული 3,191,640 ლარისა და 235,002 ლარის დებიტორული დავალიანებების[10] მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია არ იძებნება.[11]
- **სამინისტროს აპარატის** ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 1,381,285 ლარის[12] მოთხოვნები, რომელთა დაფარვის ალბათობა დაბალია, აღნიშნული თანხა წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციაზე სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად დაკისრებულ თანხებს, რომლებზეც უშედეგოდ მიმდინარეობს სააღსრულებო საქმისწარმოება.[13]
- **ნავთობისა და გაზის სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 583,558 ლარის ვადაგადაცილებული მოთხოვნები,[14] საიდანაც პირველადი დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ 314,553 ლარის დავალიანებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ დებიტორების ნაწილი[15] არ აღიარებს დავალიანებას. 2020 წელს და ასევე, წინა პერიოდში,[16] სააგენტოს მიერ ზემოთ მოცემული დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით აქტივობები არ განხორციელებულა.

  ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 583,558 ლარის მოთხოვნების მიღების ალბათობა დაბალია.

**შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 5,391,485 ლარის დებიტორული დავალიანების არსებობაზე.**

**სსიპ - ის აწარმოე საქართველოში** ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები“-ს ანგარიშზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 77,440,273 ლარიდან, 51,478,964 ლარი წარმოადგენს კომერციული ბანკების მიმართ არსებულ მოთხოვნებს.

აღნიშნული თანხა მოიცავს აწარმოე საქართველოში-ს მიერ 2020 წლის სახელმწიფო პროგრამების[17] ფარგლებში განხორციელებულ საავანსო გადახდებს.

[10] დავალიანებები წარმოშობილია 2002-2006 წლებში.

[11] აღნიშნული მიგნება იდენტიფიცირებული იყო და შესაბამისი რეკომენდაცია გაიცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

[12] შპს „იმედ პროდაქშენი“ - 1,191,578 ლარი, შპს „ენერგოსექტორმშენი“ 106,192, ლარი; შპს „კინოთეატრი „ბორჯომი“ - 83,515 ლარი.

[13] სააღსრულებო საქმისწარმოება მიმდინარეობს: შპს „იმედი პროდაქშენი“ - 2018 წლიდან, შპს „ენერგოსექტორმშენი“ - 2016 წლიდან, შპს „კინოთეატრი „ბორჯომი“ - 2015 წლიდან.

[14] 2004-2007 წლებში ნავთობპროდუქტების რეგულირების საფასურის დარიცხვით წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები.

[15] 512,249 ლარის ოდენობით.

[16] საკითხი ასევე განხილულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

[17] პროგრამები ძირითადად მოიცავს კოვიდ-19 პანდემიიდან გამომდინარე განხორციელებულ პროგრამებს, მათ შორის: მცირე და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობის პროგრამა, ღონისძიების ორგანიზატორთა სუბსიდირების სქემა, ბანკებზე გადახდილი პროცენტის დაფინანსება, რესტორნების სუბსიდირების სქემა და სხვ.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დებიტორული დავალიანების დადასტურებისათვის აუდიტის ჯგუფმა წერილობით მიმართა კომერციულ ბანკებს.[18] მიღებული პასუხების მიხედვით, ბანკები აღიარებენ 16,229,916 ლარით ნაკლებ დავალიანებას.[19]

**შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე აღრიცხული 16,229,916 ლარის არსებობასა და სისწორეზე.**

სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში განმარტებით, პროგრამების ფარგლებში 2020 წელს ავანსად ჩარიცხული თანხების შესახებ დაგვიანებულმა ანგარიშგებამ, რაც დაკავშირებული იყო პროგრამებში ჩართული ბენეფიციარების მნიშვნელოვან ზრდასთან, გამოიწვია განსხვავება სააგენტოში აღრიცხულ და ბანკების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას შორის, თუმცა, 2021 წლის ივნისიდან კომერციული ბანკებიდან ანგარიშების წარმოდგენა ხდება ყოველთვიურად და მიმდინარე წლის ბოლომდე მოხდება ანგარიშგებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული დებიტორული დავალიანების არსებობასა და სისწორეზე.**

## 1.2 მატერიალური მარაგები

**სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** მოქმედი კანონმდებლობის[20] შესაბამისად, წარმოადგენს სახელმწიფო ქონების მმართველს,[21] განკარგავს სახელმწიფო ქონებას[22] და იღებს სარგებელს და მომსახურების პოტენციალს[23] აღნიშნული ოპერაციებიდან.

### მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული 6,256,156 ლარის მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული[24] ქონება.[25] სსბასს 12-ის შესაბამისად, აღნიშნული ქონება აკმაყოფილებს მატერიალურ მარაგად[26] აღიარების კრიტერიუმებს.

**შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლი შემცირებულია 6,256,156 ლარით.**

### სახელმწიფო ქონების აღრიცხვა და პრივატიზება

ქონების ეროვნულ სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს აღრიცხული მის განკარგვაში არსებული სახელმწიფო მიწები და შენობები.

---

[18] გარე დადასტურებაზე წერილი გაიგზავნა 9 კომერციულ ბანკში, რომლებზეც აღრიცხული დებიტორული დავალიანება შეადგენს 49,706,163 ლარს.

[19] აღსანიშნავია, რომ ჩვენ ალტერნატიული პროცედურების (პირველადი დოკუმენტაციის შესწავლა და მათ საფუძველზე, ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ნაშთების დადასტურება) საშუალებითაც ვერ მივიღეთ რწმუნება ზემოაღნიშნული 16,229,916 ლარის არსებობასა და სისწორეზე.

[20] „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი.

[21] მუხლი 1, პუნქტი 6; მუხლი 2, პუნქტი „ჰ[1]“.

[22] მათ შორის, სახელმწიფო მიწებს, შენობებს, მიქცეულ და განსაკარგავად მისთვის გადმოცემულ ქონებას.

[23] მომსახურების პოტენციალი არის უნარი, გასწიოს მომსახურება და ერთეულს აძლევს თავისი მიზნების მიღწევის საშუალებას, რაც არ არის აუცილებელი, რომ ფულადი ნაკადების შემოსვლას ნიშნავდეს.

[24] სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემული/ჩამორთმეული ქონება; მოძრავი ქონება, რომელიც გადაეცა ქონების სააგენტოს შემდგომი განკარგვის მიზნით.

[25] სააგენტო ასევე ფლობს შეუფასებელ/ნულოვანი ღირებულების მქონე 39,932 სხვადასხვა დასახელების მარაგს.

[26] სსბასს 12 - მატერიალური მარაგები, მუხლი 9 - განმარტებები.

ქვემოთ მითითებულ ცხრილში N3 წარმოდგენილია ქონების მართვის სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ.

**ცხრილი N3.** ინფორმაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ

| დასახელება | რაოდენობა | ფართობი (ჰა) |
|---|---|---|
| სასოფლო-სამეურნეო მიწა | 167,964 | 1,124,487[27] |
| არასასოფლო-სამეურნეო მიწა (მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით) | 53,084 | 90,156[28] |

სააგენტომ 2020 წელს განახორციელა 168,750,311 ლარის ღირებულების იმ ქონების პრივატიზება, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში არ ჰქონდა დაფიქსირებული, როგორც აქტივი.
აღსანიშნავია, რომ მსგავსი დარღვევა იდენტიფიცირებულია ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში და გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კომუნიკაციით, იმსჯელოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები, ასევე საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული აქტივები ასახოს შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირება.“

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია განხილულ იქნა[29] საქართველოს პარლამენტში.[30] საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველმა მუდმივმოქმედმა ჯგუფმა სრულად გაიზიარა რეკომენდაცია და ეკონომიკის სამინისტროს დაევალა ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით ჩამოეყალიბებინა სამოქმედო გეგმა სახელმწიფო ქონების აღრიცხვაზე პასუხისმგებელი უწყებისა და ვადების განსაზღვრის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირების შესახებ. ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშის მიხედვით, სამინისტრო არ იზიარებს გაცემულ რეკომენდაციას.[31]

შედეგად, მიუხედავად საკითხის მნიშვნელობისა და კომპლექსურობისა, ასევე არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებისა,[32] ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებები არ არის განხორციელებული.

[27] 4,555 ჰექტარზე სახელმწიფო არის თანამესაკუთრე.
[28] 1,276 ჰექტარზე სახელმწიფო არის თანამესაკუთრე.
[29] 2020 წლის 10 მარტს.
[30] საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფის მიერ.
[31] ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის ანგარიშში გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, წერილი N 18/5551, 17.08.2020.
[32] „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ( მუხლი 1, პუნქტი 6; მუხლი 2, პუნქტი „ $3^1$“), აღრიცხვის ინსტრუქციის კონცეპტუალური საფუძვლებისა (თავი 5; 5.6 და 5.7) და სსბასს 1-ში წარმოდგენილი აქტივის განმარტების (მუხლი 7) მიხედვით, სახელმწიფო ქონება აკმაყოფილებს ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსური ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

**შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლის სისრულესთან დაკავშირებით.**

**1.3 სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივები**

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივები 161,105,575 ლარის ოდენობით.

**სამინისტროს აპარატში** სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების ანგარიში მოიცავს საქართველოს მთავრობის დადგენილების[33] საფუძველზე, კომუნალური გადასახადების სუბსიდირების ფარგლებში სხვადასხვა კომპანიაზე 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის იანვარში[34] გადასახადების წინასწარ ანაზღაურებულ თანხებს 144,824,960 ლარის ოდენობით, საიდანაც 2020 წლის დეკემბრის ხარჯია 72,011,831 ლარი, რაც აღრიცხვის ინსტრუქციის[35] შესაბამისად, ხარჯად უნდა აღიარებულიყო 2020 წელს.

**შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ მუხლი გაზრდილია, ხოლო „გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების“ მუხლი შემცირებულია 72,011,831 ლარით.**

**სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური[36]**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰიდროგრაფიული სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 435,252 ლარის ოდენობის სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივი, რომელიც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად შპს „ჰაიგმასტერზე“ (რეგისტრირებულია დიდ ბრიტანეთში) ზარალის ასანაზღაურებლად დაკისრებულ თანხას.[37]

2010 წლის სააღსრულებო ფურცლის[38] შესაბამისად, დაიწყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი, თუმცა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული თანხა მიღებული არ არის.

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „ჰაიგმასტერსი“ რეგისტრირებულია დიდ ბრიტანეთში, ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა 2020 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაგზავნა დოკუმენტაცია,[39] უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების დიდი ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოში დასარეგისტრირებლად, თუმცა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოში საქმისწარმოება დაწყებული არ არის.

შედეგად, აღნიშნული კომპანიის მოძიებისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი გახანგრძლივებულია, რაც ზრდის ფინანსური დანაკარგების რისკებს. შესაბამისად, 435,252 ლარის მოთხოვნის მიღების ალბათობა დაბალია.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ ანგარიში გაზრდილად არის ნაჩვენები 72,011,831 ლარით, ხოლო ვერ მივიღეთ რწმუნება 435,252 ლარის აქტივის არსებობაზე.**

---

[33] 2020 წლის 30 ოქტომბრის N655 დადგენილება „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

[34] დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად, 2020 წლის დეკემბრის და 2021 წლის იანვრის ხარჯი ანაზღაურდა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „24 07 03 – ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებების“ პროგრამული კოდით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

[35] მუხლი 7, პუნქტი 1.

[36] აღნიშნული საკითხი განხილულია და რეკომენდაცია გაცემულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

[37]პირობების დარღვევის შედეგად, შპს „ჰაიგმასტერს“ დაეკისრა. 430,252 ლარი ზიანის ანაზღაურება და 5,000 ლარი სახელმწიფო ბაჟის ოდენობით. ხელშეკრულება (N10, 26/03/2007) ეხებოდა მეტეოროლოგიურ-სინოპტიკური საშუალების შესყიდვას.

[38] სააღსრულებო ფურცელი N 2/316-08, 17/09/2010.

[39] 2020 წლის 19 ივნისის N03/232 წერილი.

## 1.4 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება გრძელვადიანი ფინანსური აქტივები 851,197,484 ლარის ოდენობით, საიდანაც 845,191,421 ლარი აღრიცხულია ანგარიშზე – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“.

აღნიშნული თანხა წარმოადგენს სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოების კაპიტალში განხორციელებულ ფულად შენატანებს, რომლებიც განხორციელებულია სამინისტროს აპარატის, ქონების ეროვნული სააგენტოსა და ინოვაციების სააგენტოს მიერ, შესაბამისად, 231,681,836 ლარის, 612,509,585 ლარისა  და 1,000,000 ლარის ოდენობით.

სახელმწიფო საწარმოებში განხორციელებული შენატანების აღრიცხვა-ანგარიშგებაში გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- ქონების ეროვნული სააგენტო ფულადი შენატანების გარდა, ახორციელებს სახელმწიფო საწარმოებში ქონებრივ და წილობრივ[40] შენატანებს.
  საწარმოების კაპიტალში ქონებრივი და წილობრივი შენატანებისა და შემცირებების[41] შესახებ ინფორმაცია 2016 - 2020 წლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილებში:  N4 და N5.

**ცხრილი N4.** ინფორმაცია ქონებრივი შენატანების შესახებ (ლარი)

| ქონებრივი | | | |
|---|---|---|---|
| **წელი** | **შეტანა** | **შემცირება** | **სულ:** |
| 2016 | 180,699,673 | 1,554,233 | 179,145,440 |
| 2017 | 52,749,044 | 24,268,106 | 28,480,938 |
| 2018 | 40,776,362 | 31,535,092 | 9,241,270 |
| 2019 | 59,420,574 | 41,202,929 | 18,217,645 |
| 2020 | 269,141,557 | 45,871,232 | 223,270,325 |
| სულ: | 602,787,210 | 144,431,592 | 458,355,618 |

**ცხრილი N5.** ინფორმაცია წილობრივი შენატანების შესახებ (ლარი)

| წილობრივი | | | |
|---|---|---|---|
| **წელი** | **შეტანა** | **შემცირება** | **სულ:** |
| 2016 | 16,103,075 | - | 16,103,075 |
| 2017 | 5,769,871 | 96,000 | 5,673,871 |
| 2018 | 16,963,485 | - | 16,963,485 |
| 2019 | 453,627,977 | 110,754,179 | 342,873,798 |
| 2020 | - | - | - |
| სულ: | 492,464,408 | 110,850,179 | 381,614,229 |

სააგენტოს მიერ განხორციელებული არც ქონებრივი, არც წილობრივი ტიპის შენატანები და შემცირებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გარდა ზემოაღნიშნული ხარვეზისა:

- ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სრული ინფორმაცია ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლამდე საწარმოთა კაპიტალში განხორციელებული ქონებრივი და წილობრივი შენატანებისა და კაპიტალიდან ამოღებული ქონებისა და წილების შესახებ.
- ქონების სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას სს „საპარტნიორო ფონდში“ განხორციელებული  ქონებრივი და წილობრივი შენატანებისა და ამოღებების ღირებულების შესახებ.
- ქონების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიაში“ საქართველოს

[40] ერთ საწარმოში არსებული წილის სხვა საწარმოს კაპიტალში შეტანა.
[41] კაპიტალის ამოღება.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2020 წელს ჩარიცხული თანხა, ჯამურად, 730,898 ლარის ოდენობით[42] და შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ კაპიტალში შეტანილი 700,000 ლარი.[43] აღნიშნული თანხებით უნდა გაზრდილიყო ქონების ეროვნული სააგენტოს ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში, რაც განხორციელებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილობრივი ინსტრუმენტების აღრიცხვის საკითხი განხილულია და რეკომენდაცია გაცემულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშშიც.

- ქონების ეროვნული სააგენტო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის[44] შესაბამისად, ასრულებს სახელმწიფო კომპანიების პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს.

  წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონების ეროვნული სააგენტო წილს ფლობდა 105 საწარმოში,[45] ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში კი მოცემულია მხოლოდ 11 სახელმწიფო კომპანიის წილი. სსბასს 35-ის[46] მიხედვით, ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში[47]“ განხორციელებული ინვესტიციები 3,000,000 ლარის ოდენობით ექვემდებარება ბალანსიდან ჩამოწერას, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის 100%-იანი წილის მმართველია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.[48]
- აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,[49] საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში, არსებული წილების ასახვისათვის გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი,[50] რაც სამინისტროს აპარატსა და ქონების ეროვნულ სააგენტოში არ არის განხორციელებული.
- აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,[51] განსაზღვრულია სსბასს-ების სავალდებულო მოთხოვნების გამოყენებიდან გადახრის საფუძვლები. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სავალდებულო მოთხოვნის შესრულება, ერთეულმა აღნიშნული ფაქტი უნდა გაითვალისწინოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და გაამჟღავნოს ფინანსური

[42] ბრძანებების მიხედვით გადარიცხული თანხები წარმოადგენდა კაპიტალში შენატანებს: ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 მარტის N1/1 -1638 და 2020 წლის 28 მაისის N1/1-1994 ბრძანებები.

[43] ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 16 სექტემბრის N1/1-3100 ბრძანება.

[44] 43-ე მუხლი: სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს ახორციელებს ქონების მმართველი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში სახელმწიფო ქონების, მათ შორის, წილებისა და აქციების, ასევე ფულადი შენატანის (შენატანების) განხორციელების შესახებ.

[45] მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 105 კომპანიიდან, 5 სახელმწიფო კომპანიასთან მიმდინარეობს ლიკვიდაცია, იძულებითი ლიკვიდაცია, გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმისწარმოება, ხოლო 41 არ ფუნქციონირებს.

[46] მუხლები: 18-21.

[47] ს/კ 412670097.

[48] ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან B20029392, 06/04/2020.

[49] სსბასს 35 - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, მუხლი 10, პუნქტი 46.

[50] სსბასს 36 - მუხლი 8-ის „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ მიხედვით, კაპიტალ-მეთოდი გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებში/კაპიტალში ინვესტორის კუთვნილ წილში შემენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

[51] მუხლი 3, პუნქტი 1.

ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, შესაბამისი გადახვევის მიზეზის ახსნით.

სამინისტროში არ არის შემუშავებული ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, სადაც ახსნილი იქნებოდა სტანდარტის მოთხოვნებიდან გადახრის მიზეზები. ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სახელმწიფო საწარმოებში არსებული ინვესტიციების აღრიცხვაზე დაშვებულია სტანდარტებით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნებიდან[52] გამონაკლისი/გადახრა, რომელიც სათანადოდ არ არის დასაბუთებული.

**ზემოაღნიშნულის შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხული 845,191,421 ლარის აქტივების სისწორესა და სისრულეზე.**

## 1.5 ძირითადი აქტივები/ საინვესტიციო ქონება

სსბასს 13 – „იჯარის“ შესაბამისად, მოითხოვება შეფასებების გაკეთება და იჯარის კლასიფიკაცია ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.[53]

**სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** იჯარით გასცემს სახელმწიფო ქონებებს. 2020 წელს ქონების ეროვნული სააგენტოს ჯამურმა საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 5,786,982 ლარი.

სააგენტოში არ არის დაცული სტანდარტის მოთხოვნები იჯარის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, საოპერაციო იჯარით გაცემული ქონება არ არის აღრიცხული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის მოცემული განმარტებით შენიშვნებში.

გარდა ამისა, ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში ასახულია 2018 წელს განხორციელებული აფასების[54] შედეგად წარმოშობილი 395,408 ლარის ძირითადი საშუალებების აფასების თანხა.[55]

აღნიშნული წარმოადგენს შეცდომის გასწორებას და სსბასს 3-ის მიხედვით,[56] მოითხოვს რეტროსპექტულ გასწორებას, რომლის საფუძველზეც ძირითადი აქტივების გადაფასების თანხით უნდა დაკორექტირებულიყო საწყისი კაპიტალის ნაშთი და არ უნდა ასახულიყო 2020 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში.

**შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივებისა“ და „საინვესტიციო ქონების“ მუხლის სისრულესთან დაკავშირებით.**

## 1.6 არამატერიალური აქტივები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 11,304,421 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივები.[57]

[52] სსბასს 3, მუხლი 29.

[53] საოპერაციო იჯარით გაცემული აქტივი უნდა აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო ფინანსური იჯარით გაცემისას, მასზე ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებით შენიშვნებში.

[54] სატრანსპორტო საშუალებების აფასება განხორციელდა აუდიტორული კომპანია AF-ჯგუფის მიერ 2018 წლის 27 დეკემბერს.

[55] ანგარიში - „ფლობის შედეგად გაწეული სხვა მოგება“.

[56] პუნქტები: 46-47.

[57] საბალანსო ღირებულება - 4,903,534 ლარი.

სსბასს 31-ის მიხედვით,[58] უნდა შეფასდეს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. კერძოდ, უნდა დადგინდეს სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია, თუ განუსაზღვრელი.

განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია[59] არ ერიცხებათ, მაგრამ სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება.[60]

სამინისტროს დაქვემდებარებულ რამდენიმე ორგანიზაციაში არ გამოიყენება სსბასს 31-ის ზემოაღნიშნული მითითებები. არ არის დასაბუთებული არამატერიალურ აქტივებზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი და ყველა არამატერიალურ აქტივზე სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი.[61]

დეტალური ინფორმაცია სამინისტროს იმ სტრუქტურული ერთეულების შესახებ, სადაც გამოვლენილია მსგავსი ტიპის ხარვეზები, მოცემულია ცხრილში N6.

**ცხრილი N6.** ინფორმაცია არამატერიალური აქტივების შესახებ (ლარი)

| დასახელება | ისტორიული ღირებულება | საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|
| ტურიზმის ადმინისტრაცია | 2,890,961 | 944,248 |
| სამინისტროს აპარატი | 1,956,774 | 584,928 |
| ქონების ეროვნული სააგენტო | 702,309 | 319,743 |
| **სულ:** | **5,550,044** | **1,848,919** |

**შედეგად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „არამატერიალური აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხული 1,848,919 ლარის სისწორესა და შეფასებაზე.**

**საზღვაო აკადემიის** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2,472,593 ლარის ისტორიული ღირებულების არამატერიალური აქტივები[62] ფინანსთა მინისტრის N289 ბრძანების მიხედვით, 2020 წელს განისაზღვრა განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებად და 2020 წელს ამორტიზაციის დარიცხვა ამ აქტივებზე აღარ განხორციელებულა.

ფინანსთა მინისტრის მიერ მიღებული ზემოაღნიშნული ინსტრუქციით განსაზღვრული ცვეთის/ამორტიზაციის წესი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებაა და გადაანგარიშდება რეტროსპექტულად.[63]

შესაბამისად, განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე დაგროვილი ამორტიზაცია 1,200,421 ლარის ოდენობით ექვემდებარება ჩამოწერას, რაც განხორციელებული არ არის.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „არამატერიალური აქტივების“ ანგარიში 1,200,421 ლარით ნაკლებად არის ნაჩვენები.**

## 1.7 სხვა არაფინანსური აქტივები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 13,779,211 ლარის ღირებულების სხვა არაფინანსური აქტივები, მათ შორის, დაუმთავრებელი აქტივები შეადგენს 13,764,044 ლარს.

[58] სსბასს 31 - „არამატერიალური აქტივები“, მუხლი 87.
[59] სსბასს 31 - მუხლი 106.
[60] სსბასს 31 - მუხლი 107.
[61] მაგალითად, სამინისტროს აპარატის და ქონების ეროვნული სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული 526,586 ლარის და 344,942 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ლიცენზიები, რომლებიც არის უვადო. ასევე: აპარატის ბალანსზე ირიცხება სატელევიზიო სერიალი „ღვინის გზა“, ისტორიული ღირებულებით - 957,338 ლარი. სერიალს არ აქვს განსაზღვრული ვადა და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ დროს.
[62] საბალანსო ღირებულება - 1,272,172 ლარი.
[63] სსბასს 3 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, მუხლი 27.

**სამინისტროს აპარატის** ბალანსზე – „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიშზე ირიცხება 2,808,622 ლარის ღირებულების „ბახვი ჰესი 1-2“ და „ბახვი ჰესი 5“-ის საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც სამინისტროსთვის უსასყიდლოდ გადაცემულია 2014 წლის 29 აგვისტოს. საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენების შესაძლებლობა მცირეა, რადგან მშენებლობაზე გაფორმებულია ახალი ხელშეკრულებები/მემორანდუმები, რომლებშიც გაწერილია ახალი კომპანიების მიერ ზემოხსენებული პროექტების განვითარების ფარგლებში კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების საკითხი. ასევე აღსანიშნავია, რომ სამინისტროს აპარატის განმარტებით, მათ კომპანიებისათვის ტექნიკური დოკუმენტაცია არ გადაუციათ.

აქტივების გამოუყენებლობის საკითხი სსბასს 21 – „ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურების“ მიხედვით, გაუფასურების მაჩვენებელია.[64]

სამინისტროს აპარატში გაუფასურების ტესტირება აქტივებთან დაკავშირებით არ ჩატარებულა.

**შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა არაფინანსური აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხულ 2,808,622 ლარის სისწორესა და შეფასებასთან დაკავშირებით.**

## 1.8 გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წელს აღრიცხულია 323,791,543 ლარის გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების ხარჯი, საიდანაც:

- **სამინისტროს აპარატის** მიერ 2020 წელს ანაზღაურებულია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება, სულ – 8,948,710 ლარი.
  2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით,[65] მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება უნაზღაურდებათ ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში[66] **მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას** (აბონენტებს) 2019 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2020 წლის 15 ოქტომბრიდან 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში.
  2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით,[67] სამინისტრო თანხებს ანაზღაურებს ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი და მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ სათანადოდ დამოწმებული შესაბამისი ანგარიშების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტების მიერ დამოწმებული ანგარიშების გადამოწმების ვალდებულება სამინისტროს არ აქვს.
  მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების რეესტრს[68] აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.[69]
  ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების,

[64] მუხლი 27.
[65] მუხლი 31.
[66] სეთურნი, ზაქათკარი, ჯაღმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროღო, აგრეთვე ის სოფლები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ.
[67] მუხლის 31, პუნქტი 3.
[68] რეესტრი არის მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომელშიც აისახება ინფორმაცია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის შესახებ.
[69] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 4 იანვრის ბრძანება N116 „მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1.

აღდგენის საკითხზე მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება სააგენტოს 5 დღის ვადაში.[70]

აუდიტის მიმდინარეობისას ანაზღაურებული თანხების სისწორის, სისრულისა და წარმოშობის დასადასტურებლად, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია[71] 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით ყაზბეგის და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების შესახებ.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად[72] გამოვლინდა, რომ 8,948,710 ლარის ხარჯიდან 2,307,396 ლარი[73] ანაზღაურებულია ისეთ აბონენტებზე, რომლებსაც სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ბაზაში არ აქვთ მუდმივად მცხოვრების სტატუსი.

**შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ მუხლში აღრიცხული 2,307,396 ლარის წარმოშობისა და სიზუსტის შესახებ. ასევე: ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობა წარმოშობს თანხების არაეფექტიანი და არაეკონომიური განკარგვის რისკებს.**

- **ინოვაციების სააგენტოს** „საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD)-ის“[74] ფარგლებში მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 11,818,540 ლარის სუბსიდიის ხარჯი მოიცავს 9,995,844 ლარის ისეთ დანახარჯებს,[75] რომელთა აღრიცხვა აღნიშნულ ანგარიშზე შეუსაბამოა ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნებთან.[76]

  ამასთანავე, დარჩენილი 1,822,696 ლარის ნაცვლად 2020 წლის სუბსიდიის მოცულობა შეადგენს 4,402,470 ლარს.

  **შედეგად, ინოვაციების სააგენტოს 2020 წლის „გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიის“ ხარჯი 7,416,070 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. ამასთანავე, 2020 წლის ხარჯებში აღრიცხული 9,995,884 ლარი საჭიროებს მუხლში – „საქონელი და მომსახურება“ რეკლასიფიკაციას.**

- **სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში** ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლში აღრიცხული 33,577,188 ლარის ხარჯი შემცირებულია 567,974 ლარით, რაც წარმოადგენს მონიტორინგის შედეგად წინა საანგარიშგებო პერიოდებში სხვადასხვა კომპანიაზე აღიარებული გრანტის ხარჯების უკუგატარებას, შეცდომის გასწორებას.[77] აღნიშნული შეუსაბამოა სსბასს 3-ის მოთხოვნებთან,[78] რომლის მიხედვით შეცდომები უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად. ასევე ქვეთავში 1.1 განხილული აწარმოე საქართველოში-ს დებიტორული დავალიანებების აღრიცხვასთან დაკავშირებული ხარვეზის გამო, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წელს

[70] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 4 იანვრის ბრძანება N116, მუხლი 3, პუნქტი 1.
[71] N004468/14, 14.06.2021.
[72] წერილი N01/124990, 28.06.2021.
[73] მათ შორის, 99,109 ლარზე ვერ იქნა იდენტიფიცირებული აბონენტის პირადი ნომრები.
[74] საბიუჯეტო კოდი: 24 12.
[75] ოფისის ხარჯები, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები და სხვ.
[76] „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 52 მუხლი, პუნქტი 34.
[77] აღნიშნული ოპერაცია გავლენას არ ახდენს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულ წმინდა აქტივებზე/კაპიტალზე.
[78] მუხლი 47.

„გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლში აღრიცხულ 33,577,188 ლარის სისრულისა და სისწორის შესახებ.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლის სისრულისა და სისწორის შესახებ.**

## 1.9 პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,[79] პირობითი აქტივების და პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საცნობარო ანგარიშებზე.

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების საცნობარო ანგარიშებსა და განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია პირობით აქტივებსა და პირობით ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც:

- 2019 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის საცნობარო ანგარიშებზე აღრიცხულია 3,296,885 ლარის პირობითი აქტივი და 82,771,006 ლარის პირობითი ვალდებულება.
- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წიაღის სააგენტოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 2,675,292 ლარის პირობითი აქტივი და 155,521 ლარის პირობითი ვალდებულება.
- სსიპ-ს – აწარმოე საქართველოში 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხული ჰქონდა პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი მიდგომის/პოლიტიკის საფუძველზე.[80]
  2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები აღრიცხული არ არის. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულება 2020 წელს გაკეთებული ახალი შეფასებების ან ძველი მიდგომის კორექტირების შესახებ. ამასთანავე, ორგანიზაციაში არ არის დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა, სადაც გაწერილი იქნებოდა პირობითი აქტივების და პირობითი ვალდებულებების აღრიცხვასთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები.
  2019 წელს არსებული მიდგომიდან გამომდინარე, პირობით აქტივად და პირობით ვალდებულებად აღიარებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ექვემდებარება 554,471 და 85,990,441 ლარი, რაც არ არის განხორციელებული.

**შედეგად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საცნობარო ანგარიშებზე პირობითი აქტივებისა და**

[79] მუხლი 10, პუნქტი 30.

[80] პირობითი აქტივები - „წარმოადგენს მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში სააგენტოს მიერ წინა წლებში გაცემული დაფინანსების სუბსიდირების იმ ნაწილს, რომელთა მობრუნების ვალდებულებაც შეიძლება დაუდგეთ ბენეფიციარებს, ვინაიდან მათ არაჯეროვნად შეასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები“.
პირობითი ვალდებულებები - „წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ბანკის უზრუნველყოფაში - სააგენტოს მხრიდან თანამონაწილეობის თანხების ჯამს“.

**პირობითი ვალდებულებების აღრიცხვის სისწორის, შეფასებისა და სისრულის შესახებ.**

*აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით". ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.*

# 2. მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ქვემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით:

## 2.1 ძირითადი აქტივები

სსბასს 17-ის – „ძირითადი აქტივები“ შესაბამისად,[81] „აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს,“ და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება,[82] რაც არ არის განხორციელებული.

ცხრილში N7 მოცემულია ორგანიზაციების ჩამონათვალი, სადაც 2020 წელს სრულად არის გაცვეთილი და განულებული ძირითადი აქტივები.

**ცხრილი N7.** აქტივების ისტორიული ღირებულება, რომლებიც სრულად გაიცვითა 2020 წელს (ლარი)

| დასახელება | ისტორიული ღირებულება |
|---|---|
| ინოვაციების სააგენტო | 469,224 |
| ჰიდროგრაფიული სამსახური | 374,505 |
| სამინისტროს აპარატი | 224,166 |
| საზღვაო აკადემია | 199,014 |
| ქონების სააგენტო | 134,817 |
| **სულ:** | **1,404,726** |

## 2.2 განმარტებითი შენიშვნები

სამინისტროს განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი აღრიცხვის ინსტრუქციით გათვალისწინებული სსბასს-ის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია, კერძოდ:

**დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები**

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სსბასს 20-ის – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები“ მოთხოვნათა შესაბამისად.

განმარტებით შენიშვნებში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და არ არის წარმოდგენილი სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.[83]

**ინფორმაცია შეზღუდული ფულადი რესურსის შესახებ**

სამინისტროს განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი სსბასს 2-ის – „ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება“ მიხედვით[84] განსაზღვრული ინფორმაცია იმ ფულად სახსრებთან დაკავშირებით, რომლებიც ეკუთვნის ერთეულს, მაგრამ არ შეუძლია მათი გამოყენება.

კერძოდ, სსიპ – აწარმოე საქართველოში და სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ფლობენ ფულად სახსრებს, რომელთა გამოყენება შეზღუდული აქვთ მათი მიზნობრიობიდან გამომდინარე. ასეთი თანხა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 30,737,418 ლარს.[85]

[81] მუხლი 67.
[82] სსბასს 3-ის შესაბამისად.
[83] სსბასს 20, მუხლები: 27-41.
[84] მუხლი 59.
[85] პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ - 29,345,179 ლარი, რომელიც შედგება ბანკებში განთავსებული საკრედიტო-საგარანტიო სქემისა და ფიზიკური პირების იპოთეკური სესხების საგარანტიო თანხებისაგან; ქონების ეროვნულ სააგენტოში 1,392,239 ლარი, რომელიც ძირითადად მოიცავს აუქციონებში მონაწილე პირების მიერ ქონების სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხულ ბეს თანხებს.

**სასამართლო დავები**

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,[86] მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში შესაბამის მუხლში აღრიცხვა.[87]

სამინისტროში არ არის შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

**ზემოაღნიშნული განმარტებითი შენიშვნების ხარვეზებიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულყოფილად არ ასახავს ანგარიშის მომხმარებლებისათვის საჭირო ინფორმაციას.**

[86] სსბასს 1, მუხლი 27.
[87] სსბასს 19.

# 3. სხვა გარემოებები

**3.1 კომუნალური გადასახადების სუბსიდირება**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ოქტომბრის N655 დადგენილების[88] თანახმად, სამინისტრომ განახორციელა კომუნალური გადასახადების სუბსიდირება 2020 წლის ნოემბრის, დეკემბრის, ასევე 2021 წლის იანვრისა და თებერვლის თვეებში.

დადგენილების მიხედვით,[89] სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი, შეემოწმებინა კომპანიებისგან მიღებული ინფორმაციისა და მათთვის ასანაზღაურებელი თანხის სისწორე.[90]

დადგენილების თანახმად,[91] საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ სუბსიდირებაზე უარის თქმის მიზნით, გამოყენებული იქნებოდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში – სემეკი) მიერ შემუშავებული სათანადო ელექტრონული პლატფორმა.

აუდიტის მიმდინარეობის დროს სემეკისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია[92] იმ საყოფაცხოვრებო მომხმარებლების შესახებ, რომლებმაც უარი განაცხადეს კომუნალური გადასახადების სუბსიდირებაზე.

სემეკისგან მიღებული პასუხის მიხედვით,[93] კომისიას თავად არ დაუმუშავებია კომუნალურ გადასახადებზე უარის თქმის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით შეკრებილი ინფორმაცია.[94] შესაბამისად, კომისიას არ გააჩნია დადასტურებული მონაცემები იმ საყოფაცხოვრებო მომხმარებელთა შესახებ, რომლებმაც უარი განაცხადეს კომუნალური გადასახადების სუბსიდირებაზე.

**შედეგად, სემეკის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმა არ იძლევა სრულყოფილი ინფორმაციის მიღების საშუალებას, ხოლო სამინისტროს დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში არ ევალებოდა ინფორმაციის მოპოვება იმ აბონენტების შესახებ, რომლებმაც უარი განაცხადეს სუბსიდირებაზე. შესაბამისად, არ გადამოწმებულა კომუნალური მომსახურების გამწევი კომპანიებისაგან მიღებული ინფორმაციის სისწორე, რაც ზრდის თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკებს და მიუთითებს კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე.**

**3.2 გადასესხებული სესხები**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულია უცხოური კრედიტებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების თანხები. 2020 წელს ასეთი თანხების ოდენობამ შეადგინა 67,004,772 ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და პროექტის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის, ფორმდება გადასესხების ხელშეკრულებები.

[88] „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.
[89] მუხლი 5.
[90] პასუხისმგებლობა წარდგენილ ინფორმაციაზე ეკისრებოდათ კომუნალური მომსახურებების მიმწოდებელ იურიდიულ პირებს.
[91] მუხლი 8.
[92] N 004475/14, 14.06.2021.
[93] N 1/13-3-5277, 02.07.2021.
[94] ამას ახორციელებდნენ უშუალოდ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი საწარმოები.

დონორი ორგანიზაცია პირდაპირი გადახდის წესით[95] ანაზღაურებს შესრულებული სამუშაოების მიხედვით გათვალისწინებულ თანხას, რაც ირიცხება სამინისტროს სახაზინო კოდების გავლით. შესაბამისად, სახაზინო მონაცემებზე დაყრდნობით, სამინისტროს აპარატი ჩარიცხულ თანხებს აღიარებს ანგარიშზე „საბიუჯეტო სახსრებით ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტები და სესხები“ და იმავე პერიოდში აღნიშნულ მოთხოვნას ჩამოწერს ანგარიშზე – „აქტივების და ვალდებულებების ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი“.

ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს გადასესხებული კრედიტების ადმინისტრირებას და კონტროლს, მონიტორინგს უწევს თანხების დაბრუნებას, უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეწყვიტოს თანხის გაცემა. შესაბამისად, სესხის გამცემია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო სესხის მიმღები პროექტის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანიზაციები.[96]

**შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტროს აღრიცხვის მიდგომა, რომლის მიხედვით ის არ აღიარებს სასესხო მოთხოვნების ნაშთს პროექტის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანიზაციების მიმართ – სწორია. თუმცა, აღნიშნული სააღრიცხვო მიდგომის შედეგად, გაზრდილად არის წარმოდგენილი საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლები და ხარჯები, რაც არ იძლევა მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების უტყუარად და სამართლიანად წარმოდგენის შესაძლებლობას.**

### 3.3 ბუღალტრული აღრიცხვა-სააღრიცხვო პოლიტიკა

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნები, პირგასამტეხლოები, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან წარმოშობილი შემოსავლები, სანქციებიდან და ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები და სხვ.

მაგალითად, ერთიანი სააღრიცხვო მიდგომა არ არის დანერგილი მოთხოვნებისა და შემოსავლების აღრიცხვის კუთხით. კერძოდ, სამინისტროს აპარატი თავის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს სხვადასხვა ორგანიზაციის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებების და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების მიხედვით წარმოშობილ მოთხოვნებს და შემოსავალს, მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო კოდექსის უნივერსალობის[97] პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნული მოთხოვნების დაფარვის შედეგად სარგებელს სამინისტროს აპარატი ვერ მიიღებს. ასეთი სახის

[95] თანხის ანაზღაურება ხდება დონორის მიერ პირდაპირ კონტრაქტორის ანგარიშზე

[96] ამასთანავე, პროექტის განმახორციელებელი საწარმოები ვალდებულებას აღიარებენ არა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, არამედ ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

[97] უნივერსალობა - ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მოთხოვნების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,891,467 ლარს.[98]

განსხვავებულია მიდგომა ქონების ეროვნულ სააგენტოში. კერძოდ, სააგენტო აღიარებს იჯარით გაცემული და პრივატიზებული სახელმწიფო ქონებიდან მიღებულ არა მთლიან შემოსავალს, არამედ მხოლოდ 7%-ს. რადგან, მიღებული თანხებიდან 7% წარმოადგენს ქონების ეროვნული სააგენტოს წილს,[99] დანარჩენი კი ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ამიტომ სააგენტო ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხავს წარმოქმნილი მოთხოვნების მხოლოდ 7%-ს. შედეგად, დანარჩენი 93% არც ეკონომიკის სამინისტროს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და არც სახელმწიფოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება.

ქონების ეროვნულ სააგენტოში ანალოგიური მიდგომაა ჩამოყალიბებული გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში სხვადასხვა კომპანიაზე დარიცხულ პირგასამტეხლოებთან დაკავშირებით. დარიცხული პირგასამტეხლოები არ აღირიცხება სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში, მაშინ როდესაც ქონების ეროვნულ სააგენტოს 2020 წელს შემოერთებულ მომსახურების სააგენტოს ბუღალტრულ ბაზასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი ტიპის შემოსავლები აღრიცხულია.

**ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა იწვევს არათანმიმდევრულ აღრიცხვიანობას სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში და ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობების რისკს.**

## 3.4 პირგასამტეხლო

ქონების ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა[100] პრივატიზებული და მართვის უფლებით გადაცემული აქტივების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა და შესაბამისი ხელშეკრულებების მონიტორინგი. კერძოდ, ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე დაკისრებული გადასახდელების/ პირგასამტეხლოს აღრიცხვისა და ამოღების კონტროლი.

ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები პირგასამტეხლო, 75,441,775 ლარს და 112,478,905 აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს დიდი ნაწილი წარმოშობილია 2006-2015 წლებში დადებული ხელშეკრულებებიდან და არ არის ასახული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პირგასამტეხლოების მისაღებად განხორციელებული ღონისძიებების შესწავლის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა შეარჩია 10 (ათი) კონტრაქტორი, რომლებსაც დარიცხული პირგასამტეხლოები არ ჰქონდათ გადახდილი. მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ერთ კონტრაქტორთან მიმდინარეობს სასამართლო დავა, 4 კონტრაქტორი ეტაპობრივად ფარავს დაკისრებულ პირგასამტეხლოს, 5

[98] შპს „სანი“ - 2,497,191 ლარი, შპს „იმედ პროდაქშენი“ - 1,191,578 ლარი, შპს „ენერგოსექტორმშენი“ - 106,192 ლარი, შპს „კინოთეატრი „ბორჯომი“ - 83,515 ლარი, შპს „ნინო“ - 12,991.

[99] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება N393, მუხლი N2.

[100] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N391 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

კონტრაქტორთან[101] საბოლოო გადაწყვეტილება ვალდებულების შეცვლის და სანქციების გამოყენების საკითხზე მიღებული არ არის.

საპრივატიზებო ვალდებულების ან ქონების მართვის უფლებით გადაცემის პირობების დარღვევის და საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობიდან დაკისრებული პირგასამტეხლოების საკითხი მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის, შემცირების ან პატიების პროცესის ინიციირება უნდა ითვალისწინებდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორის ინტერესებს და შესაბამისი გადაწყვეტილება არგუმენტირებულად იყოს დასაბუთებული.

**თანხების არსებითობისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე,[102] მნიშვნელოვანია ყოველწლიურად ფასდებოდეს პირგასამტეხლოების დაკისრების და ამოღების შესაძლებლობა, განხილულ იქნეს და არგუმენტირებულად დასაბუთდეს პირგასამტეხლოების შემცირების ან პატიების რელევანტურობა. ამასთანავე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიეწოდებოდეთ ინფორმაცია, აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით, სსბასს-ით და სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული კრიტერიუმების ფარგლებში.**

## 3.5 შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით

სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები[103] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, უფლებამოსილი არიან სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დააჯარიმონ ფიზიკური/იურიდიული პირები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოწერილი ჯარიმების ოქმები, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,[104] წარმოადგენენ მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებს, რომელთა აღრიცხვისა და ანგარიშგებისათვის შემუშავებულია შესაბამისი ნორმატიული აქტები. კერძოდ, ორგანიზაციაში უნდა წარმოებდეს გამოწერილი/გაუქმებული ოქმების შესახებ შესაბამისი ჟურნალები, ბლანკები უნდა იყოს დამზადებული პოლიგრაფიულ საწარმოში ნუმერაციის და სხვა რეკვიზიტების დაცვით.[105]

2020 წელს ასეთი ტიპის ჯარიმებმა, მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, შეადგინა 761,700 ლარი, საიდანაც გადახდილია 320,800 ლარი.

მოწოდებული ინფორმაციების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- წიაღის სააგენტო და სამოქალაქო ავიაციის სააგენტო არ აწარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მკაცრი აღრიცხვის ფორმების

[101] საიდანაც 4 კომპანიის მხრიდან მოთხოვნილია ვალდებულების ცვლილება, ერთი კომპანიის წარმომადგენლის მოძიება ვერ ხერხდება.

[102] კერძოდ, პირგასამტეხლოები წარმოშობილია სახელმწიფო ქონების პრივატიზების/ მართვის უფლებით გადაცემის შედეგად მესამე პირების მიერ აღებული გარკვეული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. აღნიშნული საკითხი, ერთი მხრივ, უკავშირდება ბიუჯეტში მისამართ თანხებს და, მეორე მხრივ, ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებს.

[103] ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, ნავთობისა და გაზის სააგენტო, ავიაციის სააგენტო, სახმელეთო სააგენტო, საზღვაო სააგენტო და წიაღის სააგენტო.

[104] „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“, დანართი N1-ის პუნქტი 17.

[105] საქართველოს კანონი „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და მე-10 მუხლის პირველი პუნქტი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 21 აგვისტოს N1-1/345 ბრძანება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“, დანართი N1-ის პუნქტი 17 და დანართი N3, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“.

| | |
|---|---|
| | რეგისტრაციის ჟურნალებს,[106] წიაღის ეროვნულ სააგენტოში ოქმების შესახებ ინფორმაცია აღირიცხება ელექტრონულ რეესტრებში,[107] შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება, რამდენად სრულად და ზუსტად არის მონაცემები ასახული წარმოდგენილ რეესტრებში.<br>• ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში ოქმები დანომრილია ხელით.[108]<br>• სახმელეთო სააგენტოში შემუშავებული არ არის მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის წარმოების წესი.<br><br>აღნიშნული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების ასახვა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება, რადგანაც თანხები ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში და ორგანიზაციების შეფასებით არ წარმოადგენს ორგანიზაციების შემოსავალს. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ ასეთი ტიპის შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა და შემდგომ შესაბამისი შეფასებების გაკეთება რთულად განხორციელებადია სახელმწიფო ხაზინის მიერ, შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო.<br><br>**შედეგად, არსებობს რისკი იმისა რომ ასეთი ტიპის შემოსავლები არ იქნება სამართლიანად წარდგენილი მთავრობის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.** |
| **3.6 კრედიტორული დავალიანება** | 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში ირიცხება 9,512,091 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანებები, საიდანაც:<br>• ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში არსებულ 190,000 ლარის კრედიტორული დავალიანების მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია არ იძებნება.<br>• ნავთობისა და გაზის სააგენტოში აღრიცხულია 583,558 ლარის დებიტორული დავალიანების[109] იდენტური თანხა ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებად, რაც აღრიცხვის კუთხით შეუსაბამოა საბიუჯეტო კოდექსის უნივერსალობის[110] პრინციპთან, რომლის მიხედვით ბიუჯეტის წინაშე ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ორგანიზაცია მიიღებს ფულად სახსრებს. |
| **3.7 ინვენტარიზაცია** | ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია რწმუნების მოსაპოვებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ძირითადი საშუალება რეალურად არსებობს და |

[106] სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 20 აპრილის N1 ბრძანება „სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლი, სსიპ - სამოქალაქო ავიაციის დირექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის N160 ბრძანება „სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი შევსების, შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტი - დანართი N2.

[107] Excel-ის ფაილებში.

[108] საქართველოს კანონი „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

[109] 2004-2007 წლებში ნავთობპროდუქტების რეგულირების საფასური, რომელიც ირიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

[110] უნივერსალობა - ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, ასევე იზრდება აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობა;

სამინისტროს აპარატში,[111] ტურიზმის ადმინისტრაციაში, საზღვაო აკადემიასა და ინოვაციების სააგენტოში 2020 წელს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

არაფინანსური აქტივების იდენტიფიცირების, დაცულობის, ეფექტიანი მართვისა და ინვენტარიზაციის პროცესის გამარტივებისათვის საჭიროა ორგანიზაცია ფლობდეს და აღრიცხავდეს აქტივებთან დაკავშირებულ შემდეგი სახის ინფორმაციას:

- მინიჭებული საინვენტარო ნომრის ან შტრიხკოდის შესახებ;
- მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- ადგილმდებარეობის შესახებ;
- მდგომარეობის შესახებ.

გამოვლინდა, რომ:

- ➢ ტურიზმის ადმინისტრაციაში ძირითად საშუალებებს საინვენტარო ნომრები მინიჭებული არ აქვს, ზოგ შემთხვევაში არც აქტივის ზუსტი ადგილმდებარეობაა დაფიქსირებული;
- ➢ სამინისტროს აპარატში ძირითადი აქტივების შესახებ ინფორმაცია აღირიცხება საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა ORIS-ში და Excel-ში. აპარატის მიერ გადმოგზავნილ Excel-ის ცხრილში არ არის ინფორმაცია მოცემული მატერიალურ-პასუხისმგებელი პირების შესახებ;
- ➢ საზღვაო აკადემიასა და ინოვაციების სააგენტოში ძირითად საშუალებებზე საინვენტარო ნომრები და მატერიალურ-პასუხისმგებელი პირები განსაზღვრული არ არის.

## 3.8 სხვა არაფინანსური აქტივები

სამინისტროს აპარატის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია სხვა არაფინანსურ აქტივებზე დაგროვილი ცვეთა 225,576 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს სხვა ერთეულებზე გადასაცემად არსებულ აქტივებზე დაგროვილ ცვეთას.

ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით,[112] გასაყიდად გამიზნულ ცვეთად/ამორტიზებად აქტივებს, დაუმთავრებელ მშენებლობას, მიწას, ასევე აქტივებს, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული, ცვეთა/ამორტიზაცია არ ერიცხება.

[111] ქვეყანაში არსებული პანდემიისგან (COVID - 19) გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ მინისტრის 2020 წლის 22 ოქტომბრის №1-1/451 ბრძანებაში ცვლილება შევიდა მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის №1-1/563 ბრძანებით და ვადა განისაზღვრა 2021წლის 21 ივნისამდე.

[112] მუხლი 6.

ფინანსთა მინისტრის მიერ მიღებული ზემოაღნიშნული ინსტრუქციით განსაზღვრული ცვეთის/ამორტიზაციის წესი წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას და სსბასს 3 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ მიხედვით,[113] გადაანგარიშდება რეტროსპექტულად. შესაბამისად, 2020 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული დაგროვილი ცვეთის ანგარიში ექვემდებარება განულებას.

## 3.9 საწყისი ნაშთები

**ავიაციის სააგენტოში** 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების და კრედიტორული დავალიანების ანგარიშის ნაშთები, შესაბამისად, 285,193 ლარით და 249,983 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები არ ემთხვევა ბუღალტრულ ბაზაში აღრიცხულ მონაცემებს.

**კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში** არ არის ელიმინირებული 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საზღვაო სააგენტოში სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების და საზღვაო აკადემიაში სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების ანგარიშზე აღრიცხული 300,000 ლარის თანხა.

**ინოვაციების სააგენტოს** – „საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD) – საბიუჯეტო კოდი: 24 12“ ფარგლებში მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები“ ანგარიშზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხულია 787,062 ლარის მოთხოვნები. ანგარიშზე აღირიცხება საგრანტო პროექტის ფარგლებში კერძო ორგანიზაციებზე პროექტის ფარგლებში წინასწარ გადახდილი თანხები, რომლის ხარჯად აღიარება ხდება ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდგომ.
მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წინასწარ გადახდილმა თანხამ, რომელიც არ იყო დადასტურებული, შეადგინა 3,414,033 ლარი. შესაბამისად, „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ ანგარიში 2,626,971 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

**ჰიდროგრაფიული სამსახურისა** და **ინოვაციების სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებებში[114] 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხულია 1,237,947 და 1,288,069 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი აქტივები, რომლებიც სრულად გაცვეთილია და მათი საბალანსო ღირებულება ნულის ტოლია.
ნულოვანი ღირებულების ძირითადი აქტივების ისტორიული ღირებულების და დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა განხორციელდა 2020 წელს. შესაბამისად, ძირითადი აქტივების ისტორიული ღირებულება და დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 1,237,947 და 1,288,069 ლარით მეტობით არის წარმოდგენილი.

[113] მუხლი 27.
[114] ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა N6.

| | |
|---|---|
| **3.10 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან** | **წიაღის სააგენტოს** მიერ 2020 წელს აღიარებულია წინა საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლების კორექტირება და „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან“ გაზრდილია 745,312 ლარით.<br>წიაღის სააგენტოს მიერ გაცვლითი ოპერაციებიდან წარმოშობილი შემოსავლის აღიარება ხორციელდება დარიცხვის უწყისის საფუძველზე, რომელიც დგება წიაღის მომპოვებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი ათვისების გეგმის ან ფაქტობრივი მოპოვების შესახებ მათ მიერ ელექტრონულ პორტალზე გადმოგზავნილი დეკლარაციის საფუძველზე.<br>რიგ შემთხვევებში კომპანიების მხრიდან ხდება მიმდინარე და წინა საანგარიშგებო პერიოდებში წარმოდგენილი ათვისების გეგმების ცვლილება, რის შედეგადაც წიაღის სააგენტოს მიერ ხორციელდება შემოსავლების კორექტირება.<br>წინა საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული შემოსავლის კორექტირება სსბასს 3-ის მიხედვით, წარმოადგენს შეცდომის გასწორებას,[115] სტანდარტის და აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით წინა პერიოდში დაშვებული შეცდომის კორექტირება მოითხოვება რეტროსპექტულად.<br>**შესაბამისად, 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლი „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან“ 745,312 ლარით გაზრდილად არის ნაჩვენები.** |

[115] სსბასს 3, N46-47 მუხლები.

# 4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

**ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე „ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

| **აუდიტორები** | **ხელმოწერა** |
|---|---|
| **გიორგი ჭოლოკავა**<br>წამყვანი აუდიტორი | |
| **კორნელი გაბლიშვილი**<br>უფროსი აუდიტორი | |
| **ელენე ელიაზარაშვილი**<br>უფროსი აუდიტორი | |
| **მარიამ ღირსიაშვილი**<br>აუდიტორი | |
| **რუსუდან აბულაშვილი**<br>აუდიტორი | |
| **მალხაზ კენტელაძე**<br>უფროსი აუდიტორ-ასისტენტი | |
| **ლაშა ლებანიძე**<br>უფროსი აუდიტორ-ასისტენტი | |
| **სოფიო გიგიაშვილი**<br>აუდიტორ-ასისტენტი | |
| **ლაშა თურმანიძე**<br>აუდიტორ-ასისტენტი | |

2021

**ირაკლი ბაჩიაშვილი**
აუდიტორ-ასისტენტი

ი. ბაჩიაშვილი

| | |
|---|---|
| **ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა განმარტებითი შენიშვნები** | • ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება<br>• ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება<br>• წმინდა აქტივების/კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგება<br>• ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება<br>• ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები |

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ნაერთი)**

ორგანიზაციული კოდი #24 00 და #25 01 02

# ფინანსური ანგარიშგება

**2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

პერიოდულობა: 12 **თვის 2020წ**

საანგარიშგებო ვალუტა: **ლარი**

დამრგვალების დონე: **ერთეული**

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: თარიღი 28.04.2021წ

მთავარი ბუღალტერი: თარიღი 28.04.2021წ

დანართი N1

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
## (კონსოლიდირებული)

## ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2020 (წლიური)

| | მუხლები | შენიშვნა | საანგარიშგებო წელი (31.12.2020) | საანგარიშგებო წლის წინა წელი (31.12.2019) |
|---|---|---|---|---|
| | **აქტივები** | | | |
| | ***მოკლევადიანი აქტივები*** | | | |
| 001 | ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | N2 | 94,142,421 | 65,824,489 |
| 002 | მიმდინარე ინვესტიციები | N2ა | - | - |
| 003 | მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები | N2ა | 149,669,085 | 41,442,196 |
| 004 | მატერიალური მარაგები | N3 | 6,619,597 | 5,918,031 |
| 005 | სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები | N4 | 161,105,575 | 6,772,678 |
| 006 | ***სულ მოკლევადიანი აქტივები (001-005)*** | | ***411,536,678*** | ***119,957,394*** |
| | ***გრძელვადიანი აქტივები*** | | | |
| 007 | გრძელვადიანი ფინანსური აქტივები | N5 | 851,197,484 | 766,486,152 |
| 008 | ძირითადი აქტივები | N6 | 91,724,621 | 78,123,063 |
| 009 | საინვესტიციო ქონება | N7 | - | - |
| 010 | არამატერიალური აქტივები | N8 | 4,903,534 | 5,524,632 |
| 011 | შეღავათიანი მომსახურების აქტივები | N9 | - | - |
| 012 | ფინანსური ლიზინგის აქტივები | N10 | - | - |
| 013 | სხვა არაფინანსური აქტივები | N11 | 13,779,211 | 6,652,805 |
| 014 | ***სულ გრძელვადიანი აქტივები (007-013)*** | | ***961,604,850*** | ***856,786,652*** |
| 015 | ***სულ აქტივები (006+014)*** | | ***1,373,141,528*** | ***976,744,046*** |
| | **ვალდებულებები** | | | |
| | ***მოკლევადიანი ვალდებულებები*** | | | |
| 016 | მოკლევადიანი ნასესხები თანხები | N12 | - | - |
| 017 | კრედიტორული დავალიანება | N13ა | 9,512,091 | 19,941,277 |
| 018 | გადასახდელი პროცენტი | N13ა | - | - |
| 019 | მიმდინარე ანარიცხები | N13ბ | - | - |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 020 | სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | N13ა | 3,666,593 | 1,282,809 |
| 021 | ვალდებულებები დეპოზიტებით | N13გ | 6,923,149 | 3,184,050 |
| 022 | ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით | N13გ | - | - |
| 023 | *სულ მოკლევადიანი ვალდებულებები (016-022)* | | *20,101,833* | *24,408,136* |
| | *გრძელვადიანი ვალდებულებები* | | | |
| 024 | გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით | N12 | - | - |
| 025 | გრძელვადიანი კრედიტები და სესხები | N12 | - | - |
| 026 | ფინანსური ლიზინგის გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება | N10, N12 | - | - |
| 027 | შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება | N9, N12 | - | - |
| 028 | გრძელვადიანი ანარიცხები | N13ბ | - | - |
| 029 | სხვა გრძელვადინი კრედიტორული დავალიანებები | N13ა | 55,067 | 703,389 |
| 030 | *სულ გრძელვადიანი ვალდებულებები (024-029)* | | *55,067* | *703,389* |
| 031 | *სულ ვალდებულებები (023+030)* | | *20,156,900* | *25,111,525* |
| | **წმინდა აქტივები/კაპიტალი** | | | |
| 032 | შეტანილი კაპიტალი | | - | - |
| 033 | გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი | | 1,352,984,628 | 951,632,520 |
| *034* | *სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი (032+033)* | | *1,352,984,628* | *951,632,520* |
| 035 | **სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი (031+034)** | | *1,373,141,528* | *976,744,045* |

ხელმძღვანელი 28.04.2021წ

მთავარი ბუღალტერი 28.04.2021წ

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ნაერთი 24 00 კოდი)**

**ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება 2020 წელი (წლიური)**

დანართი№2

| | მუხლები | შენიშვნა | საანგარიშგებო წელი 2020წ | | | საანგარიშგებო წლის წინა წელი 2019წ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საბიუჯეტო სახსრები | არასაბიუჯეტო სახსრები | სულ | სულ |
| | **შემოსავლები** | | | | | |
| 001 | საგადასახადო შემოსავლები | N14 ა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 002 | შემოსავლები სოციალური შენატანებით | | 0 | 0 | 0 | 0 |
| 003 | შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით | N14 გ | 269 | 7,409 | 7,678 | 40,578 |
| 004 | შემოსავლები გრანტებით | N14 ბ | 4,098,264 | 19,031,353 | 23,129,617 | 1,937,960 |
| 005 | შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | N14 გ | 1,718,914 | 972,123 | 2,691,037 | 1,603,117 |
| 006 | შემოსავლები შიდა ტრანსფერებით (დაფინანსება) | N14 გ | 760,584,016 | 0 | 760,584,016 | 260,409,425 |
| 007 | შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა | N15ა | 0 | 57,218,545 | 57,218,545 | 52,838,923 |
| 008 | გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები | N15ბ | 0 | 0 | 0 | 0 |
| 009 | საპროცენტო შემოსავლები | N15ა | 0 | 6,731,826 | 6,731,826 | 4,739,678 |
| 010 | სხვა და სხვა შემოსავლები | N16, N15ა | 3,805,546 | 6,455,149 | 10,260,695 | 13,204,554 |
| 011 | **სულ შემოსავლები (4-00-0000)** | | 770,207,009 | 90,416,405 | 860,623,414 | 334,774,235 |
| | **ხარჯები** | | | | | |
| 012 | **შრომის ანაზღაურების ხარჯები** | N17ა | 14,117,283 | 18,078,918 | 32,196,201 | 32,034,028 |
| 013 | **საქონელი და მომსახურება** | N17ა | 89,370,050 | 26,886,599 | 116,256,649 | 71,464,220 |
| 014 | **გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები** | N17ა N17ბ N17გ | 261,049,049 | 62,742,494 | 323,791,543 | 170,657,732 |
| 015 | **ხარჯები შიდა ტრანსფერებით** | N17ა | 335,098 | 235,420 | 570,518 | 170,253 |
| 016 | **ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები** | N17ა | 4,022,353 | 2,083,623 | 6,105,976 | 6,189,307 |
| 017 | **გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება** | N6 N7 N8 N9 N10 N18 | 527,038 | 52,996 | 580,034 | 28,978,512 |
| 018 | **სოციალური დახმარება** | N17ა | 294,231 | 229,529 | 523,760 | 727,893 |
| 019 | **გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარალი** | N15ბ | 0 | 0 | 0 | 0 |
| 020 | **სხვა და სხვა ხარჯები** | N18 | 69,923,289 | 894,279 | 70,817,568 | 33,315,277 |
| 021 | ფინანსური ხარჯები (საპროცენტო ხარჯები) | N 17ა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 022 | **სულ ხარჯები (5-00-0000)** | | 439,638,391 | 111,203,858 | 550,842,249 | 343,537,222 |
| | | | | | | |
| 023 | **პერიოდის ნამეტი(დეფიციტი)** | | 330,568,618 | -20,787,453 | 309,781,165 | -8,762,987 |
| | | | | | | |

ხელმძღვანელი 28.04.2021წ

მთავარი ბუღალტერი 28.04.2021წ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (წაერთი)

## წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

*საანგარიშგებო წელი 2020წ*

| | | შენიშვნა | კაპიტალში შენატანები | გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი | | სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები | |
| 10 | **საწყისი ნაშთი 01.01.2020წ** | | | **859,487,931** | **92,142,243** | **951,630,174** |
| 11 | სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები | N1 | | **0** | **0** | **0** |
| 12 | არსებითი შეცდომების კორექტორებები (წინა პერიოდების შეცდომები) | N1 | | **0** | **2,347** | **2,347** |
| 13 | **გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი** | | | **859,487,931** | **92,144,590** | **951,632,521** |
| 14 | **წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება** | | | **413,232,962** | **-11,880,856** | **401,352,106** |
| 15 | დამფუძნებლების შენატანები | | | **0** | **0** | **0** |
| 16 | ***პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)*** | | | **330,568,618** | **-20,787,453** | **309,781,165** |
| 17 | დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები | | | **0** | **0** | **0** |
| 18 | ***ერთეულთა გაერთიანების და ერთეულზე კონტროლის მოპოვების შედეგად კაპიტალის ზრდა/კლება*** | | | **82,664,344** | **8,906,597** | **91,570,941** |
| 19 | **საბოლოო ნაშთი 31.12.2020წ** | | | **1,272,720,893** | **80,263,734** | **1,352,984,627** |

*საანგარიშგებო წლის წინა წელი 2019წ*

| | | | კაპიტალში შენატანები | გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი | | სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები | |
| 10 | **საწყისი ნაშთი 01.01.2019წ** | | | **881,454,117** | **81,025,146** | **962,479,263** |
| 11 | სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები | | | **0** | **0** | **0** |
| 12 | არსებითი შეცდომების კორექტორებები (წინა პერიოდების შეცდომები) | | | **-2,083,754** | **0** | **-2,083,754** |
| 13 | **გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი** | | | **879,370,363** | **81,025,146** | **960,395,509** |
| 14 | **წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება** | | | **-19,882,433** | **11,119,447** | **-8,762,986** |
| 15 | დამფუძნებლების შენატანები | | | **0** | **0** | **0** |
| 16 | **პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)** | | | **-19,882,433** | **11,119,447** | **-8,762,986** |
| 17 | დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები | | | **0** | **0** | **0** |
| 18 | **საბოლოო ნაშთი 31.12.2019წ** | | | **859,487,930** | **92,144,593** | **951,632,523** |

ხელმძღვანელი 28.04.2021წ

მთავარი ბუღალტერი 28.04.2021წ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ნაერთი)

## ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

**დანართი 4**

**საანგარიშგებო წელი 2020წ**

| | | შენიშვნა | დამტკიცებული ბიუჯეტი (საწყისი) | დაზუსტებული ბიუჯეტი (საბოლოო) | ბიუჯეტის შესრულება (საკასო) | შესრულება (%) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **შემოსულობები (შემოსული თანხები, მიღებები)** | | | | | |
| | **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | | | | | |
| 10 | გადასახადები | | | | | |
| 11 | გრანტები | | | | | |
| 12 | სხვა შემოსავლები | | | | | |
| 13 | არაფინანსური აქტივების შემცირება | | | | | |
| 14 | ფინანსური აქტივების შემცირება | | | | | |
| 15 | ვალდებულებების ზრდა | | | | | |
| 16 | **სულ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (შემოსული თანხები, მიღებები)** | | **0** | **0** | **0** | **0** |
| | **გაცემული თანხები (გაცემები, გადახდები, გასვლები)** | | | | | |
| 17 | შრომის ანაზღაურება | | 14,925,000 | 14,655,368 | 14,118,202 | 96.33 |
| 18 | საქონელი და მომსახურება | | 86,809,000 | 96,497,398 | 88,309,032 | 91.51 |
| 19 | პროცენტი | | 0 | 0 | 0 | 0.00 |
| 20 | სუბსიდიები | | 505,866,000 | 337,647,518 | 335,715,765 | 99.43 |
| 21 | გრანტები | | 1,280,000 | 127,074,818 | 126,072,811 | 99.21 |
| 22 | სოციალური დახმარება | | 361,000 | 316,749 | 281,567 | 88.89 |
| 23 | სხვა ხარჯები | | 152,604,000 | 145,161,172 | 126,266,812 | 86.98 |
| 24 | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 2,155,000 | 3,482,869 | 2,816,051 | 80.85 |
| 25 | ფინანსური აქტივების ზრდა | | 57,500,000 | 57,500,000 | 67,003,772 | 116.53 |
| 26 | ვალდებულებების შემცირება | | 3,725,000 | 0 | 0 | 0.00 |
| 27 | **სულ გაცემული თანხები (გაცემები, გადახდები, გასვლები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან** | | **825,225,000** | **782,335,892** | **760,584,012** | |
| | | | | | | |
| 28 | **სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი** | N21 | | | | |

ხელმძღვანელი: 28.04.2021წ

მთავარი ბუღალტერი: 28.04.2021წ

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

## ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

### შენიშვნა N1 სააღრიცხვო პოლიტიკები

ა) ანგარიშმგებელი ერთეული - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ბ) 2020 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე დარიცხვის მეთოდით.

გ) ის კანონები და რეგულაციები, რომელთა შესაბამისობაშიც მომზადდა ანგარიშგება, ის სტანდარტები, რომლებიც დაცულია და გადახრები სტანდარტებიდან მითითებულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში

დ) **ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერილობა:** ნედლეულის/მასალების და გადასაცემად შეძენილი საქონელის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი თვითღირებულების ფორმულით, ხოლო მცირეფასიანი აქტივების - ინდივიდუალური თვითღირებულებით. გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების შეფასება ნომინალური ღირებულებით ხდება. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები თვითღირებულებით ფასდება. ძირითადი აქტივების შეფასება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით ხდება. არამატერიალური აქტივების შეფასება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით ხდება. შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

ე) ბოლო ფინანსური ანგარიშგებების მომზადების თარიღიდან მოყოლებული სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებებს, რომლებიც აისახვას ექვემდებარებოდა რესტროსპექტულ კორექტირებებში ადგილი არ ქონია

ვ) განხორციელებული კორექტირებების შედეგად 3-22-2000 ანგარიშის დებეტში აისახა 297 ლარი და 693 ლარი, ხოლო კრედიტში 3337 ლარი, საბოლოოდ 3-22-2000 ანგარიში გაიზარდა 2347 ლარით (ცვლილება ასახულია წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებაში - საანგარიშგებო წელი -არსებითი შეცდომების კორექტორებები (წინა პერიოდების შეცდომები))

ხელმძღვანელი: 28.04.2021წ

მთავარი ბუღალტერი 28.04.2021წ

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ნაერთი 24 00)

## შენიშვნა N2 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| სტრიქონის კოდი | | საანგარიშგებო წელი (2020წ) | საანგარიშგებო წლის წინა წელი (2019წ) |
|---|---|---|---|
| 010 | **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები** | | |
| 020 | ***ნაშთები ეროვნულ ვალუტაში, ბანკნოტები და მონეტები*** | - | - |
| 030 | ხაზინის ერთიანი ანგარიში, მათ შორის: | - | - |
| 040 | სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები | - | - |
| 050 | ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სახსრები | - | - |
| 060 | ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ები და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები | - | - |
| 070 | ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სსიპ-ები და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები | - | - |
| 080 | დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში | - | - |
| 090 | ბანკნოტები და მონეტები ლარში | - | - |
| 100 | სხვა ანგარიშები ხაზინაში | - | - |
| 110 | **სალაროში და კომერციულ ბანკებში გახსნილი ანგარიშები*** | **93,734,469** | **65,824,489** |
| | მ.შ. TBC PAY-ის ანგარიშზე განთავსებული ნაშთი, რეგულირების საფასურის გადახდა (ეკუთვნის სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო) | *101,099* | *20,755* |
| 120 | ***საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში, ბანკნოტები და მონეტები, მათ შორის*** | **407,952** | - |
| 130 | ხაზინის სავალუტო ანგარიში | - | - |
| 140 | დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში | - | - |
| 150 | უცხოურ ვალუტაში სხვა საბანკო ანგარიშები | 407,952 | - |
| 160 | ბანკნოტები და მონეტები უცხოურ ვალუტაში | - | - |
| 170 | ***3 თვემდე ვადიანი დეპოზიტები ლარში*** | - | - |
| 180 | სახელმწიფო ხაზინის მიერ დეპოზიტებზე (ანაბრებზე) განთავსებული ფულადი სახსრები | - | - |
| 190 | ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ განთავსებული ფულადი სახსრები | - | - |
| 200 | ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებისა და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების მიერ განთავსებული ფულადი სახსრები | - | - |
| *210* | ***სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები*** | **94,142,421** | **65,824,489** |

***ანგარიშგებაში ფულად სახსრებად ასახული თანხები**

ხელმძღვანელი: 28.04.2021წ

მთავარი ბუღალტერი 28.04.2021წ

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ნაერთი 24 00 კოდი)

**შენიშვნა N2ა** **მიმდინარე ინვესტიციები და მისაღები თანხები** (დებიტორები)

**სააღრიცხვო პოლიტიკები:**

**ა) მიმდინარე ინვესტიციები ითვლება 31.12.2020-ის მდგომარეობით**

| სტრიქონის კოდი | მუხლები | საანგარიშგებო წელი 2020წ | | | საანგარიშგებო წლის წინა წელი 2019წ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მთლიანი ნაშთი | გაუფასურება | საბალანსო ღირებულება | მთლიანი ნაშთი | გაუფასურება | საბალანსო ღირებულება |
| 010 | **მიმდინარე ინვესტიციები** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 020 | 1 წლამდე ვადიანი კრედიტები და სესხები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 030 | 1 წელზე მეტ ვადიანი კრედიტებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 040 | ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების მიმდინარე ნაწილი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 050 | მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციების | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 060 | სხვა მიმდინარე ინვესტიციები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

| სტრიქონის კოდი | მუხლები | საანგარიშგებო წელი 2020წ | | | საანგარიშგებო წლის წინა წელი 2019წ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მთლიანი ნაშთი | გაუფასურება | საბალანსო ღირებულება 01.01.2021 | მთლიანი ნაშთი | გაუფასურება | საბალანსო ღირებულება 01.01.2020 |
| 010 | **მიმდინარე დებიტორული დავალიანება (დებიტორები)** | **149,960,726** | **291,641** | **149,669,085** | **41,442,196** | **-** | **41,442,196** |
| 020 | **სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება** | **84,042,685** | **-** | **84,042,685** | **26,089,309** | **-** | **26,089,309** |
| 030 | **გადასახადებიდან მისაღები თანხები (040+050+060+070+080+090+100)** | **1,532,638** | **-** | **1,532,638** | **1,336,782** | **-** | **1,336,782** |
| 040 | *საშემოსავლო გადასახადი* | 42,692 | - | 42,692 | 23,579 | - | 23,579 |
| 050 | *მოგების გადასახადი* | 234,844 | - | 234,844 | 34,465 | - | 34,465 |
| 060 | *ქონების გადასახადი* | 70,651 | - | 70,651 | 54,406 | - | 54,406 |
| 070 | *დღგ* | 1,136,967 | - | 1,136,967 | 1,125,206 | - | 1,125,206 |
| 080 | *სააქციზო გადასახადი* | - | - | - | - | - | - |
| 090 | *იმპორტის გადასახადი* | - | - | - | - | - | - |
| 100 | *სხვა გადასახადები* | 47,484 | - | 47,484 | 99,126 | - | 99,126 |
| 110 | **მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში** | **857,776** | **-** | **857,776** | **861,663** | **-** | **861,663** |
| 120 | **მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით** | **1,419,724** | **-** | **1,419,724** | **1,111,466** | **-** | **1,111,466** |
| 130 | **მისაღები დივიდენდები** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| 140 | **საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები** | **4,962,823** | **56,639** | **4,906,184** | **5,797,273** | **-** | **5,797,273** |
| 150 | **მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ** | **19,063** | **-** | **19,063** | **17,145** | **-** | **17,145** |
| 160 | **მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით (გაყიდვით)** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| 170 | **სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები** | **57,126,017** | **235,002** | **56,891,015** | **6,228,558** | **-** | **6,228,558** |

ხელმძღვანელი: 28.04.2021წ

მთავარი ბუღალტერი 28.04.2021წ

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ნაერთი 24 00 კოდი)

### შენიშვნა N4 სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები

| სტრიქონის კოდი | მუხლები | საანგარიშგებო წელი 2020წ | საანგარიშგებო წლის წინა წელი 2019წ |
|---|---|---|---|
| 010 | **წინასწარი გადახდები** | **160,986,858** | **6,654,843** |
| 020 | წინასწარი გადახდები საქონლისა და მომსახურებისათვის | 147,417,495 | 3,482,058 |
| 030 | წინასწარი გადახდები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივებისათვის | 6,288,436 | 1,194,715 |
| 040 | წინასწარ გადახდილი სხვა ხარჯები | 7,280,927 | 1,978,070 |
| 050 | მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გადაცემით | - | - |
| 060 | ბარტერული ოპერაციებიდან მისაღები აქტივებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები | - | - |
| 070 | მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით | - | - |
| 080 | მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით | 118,714 | 117,834 |
| 090 | სულ | **161,105,572** | **6,772,677** |

ხელმძღვანელი: 28.04.2021წ

მთავარი ბუღალტერი 28.04.2021წ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ნაერთი 24 00 კოდი)

## შენიშვნა N5 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკები:

ა) გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების შეფასება ნომინალური ღირებულებით ხდება.

ბ) წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები თვითღირებულებით ფასდება.

| სტრიქონის კოდი | მუხლები | საანგარიშგებო წელი 2020წ | | | საანგარიშგებო წლის წინა წელი 2019წ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მთლიანი ნაშთი | აკუმულირებული გაუფასურების ზარალი | საბალანსო ღირებულება 31.12.2020წ | მთლიანი ნაშთი | აკუმულირებული გაუფასურების ზარალი | საბალანსო ღირებულება |
| 010 | **გრძელვადიანი ფინანსური აქტივები** | **851,197,484** | - | **851,197,484** | **766,486,152** | - | **766,486,152** |
| 020 | კრედიტები და სესხები (საბოლოო დაფარვის თარიღამდე დარჩენილია ერთ წელზე მეტი) | **1,864,445** | - | **1,864,445** | **1,864,445** | - | **1,864,445** |
| 030 | ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში | **845,191,421** | - | **845,191,421** | **761,869,742** | - | **761,869,742** |
| 040 | სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები | **4,141,618** | - | **4,141,618** | **2,751,965** | - | **2,751,965** |

| სტრიქონის კოდი | მუხლები | სულ | კრედიტები და სესხები (დაფარვის თარიღამდე დარჩენილია ერთ წელზე მეტი) | კაპიტალის ინვესტიციები | გრძელვადიანი მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან |
|---|---|---|---|---|---|
| 010 | მთლიანი ნაშთი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 020 | **საწყისი ნაშთი** | 0 | 0 | 0 | 0 |
| 030 | გამოშვება | 0 | 0 | 0 | 0 |
| 040 | რეკლასიფიკაცია მიმდინარე (მოკლევადიან) ფინანსურ აქტივებად | 0 | 0 | 0 | 0 |
| 050 | გამოსყიდვა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 060 | **საბოლოო ნაშთი** | 0 | 0 | 0 | 0 |
| 070 | გაუფასურება | 0 | 0 | 0 | 0 |
| 080 | **საწყისი ნაშთი** | 0 | 0 | 0 | 0 |
| 090 | გამოშვება | 0 | 0 | 0 | 0 |
| 100 | რეკლასიფიკაცია მიმდინარე (მოკლევადიან) ფინანსურ აქტივებად | 0 | 0 | 0 | 0 |
| 110 | გამოსყიდვა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 120 | **საბოლოო ნაშთი** | 0 | 0 | 0 | 0 |
| 130 | წმინდა ნაშთი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 140 | საწყისი ნაშთი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 150 | საბოლოო ნაშთი | 0 | 0 | 0 | 0 |

| სტრიქონის კოდი | | საანგარიშგებო წელი 2020წ | საანგარიშგებო წლის წინა წელი 2019წ |
|---|---|---|---|
